აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები

ბათუმი, 29 იანვარი, 2014 წელი

აჭარის ა/რ 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები



151,161,506 ლარი

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები
36 311 631 ლარი

გაზრდილია 9 000 000 ლარით

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
- მოსახლეობის სოციალური დაცვა
- დასაქმების ხელშეწყობა
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
- კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა
- სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა
- საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა
- საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების პრევენცია
- საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- წარმომადგენლობითი საქმიანობის მხარდაჭერა
- ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკების მართვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.
სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდება. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების კვალიფიკაციის ამაღლება. სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა. სქოლიოზითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

31,124,600 ლარი

7,588,700 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 566 435 ლარით



მოსახლეობის სოციალური დაცვა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

პრიორიტეტის მიზანია პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სოციალური დახმარებების გაცემა, მათი უზრუნველყოფა სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით. სოფლებში საექიმო კადრების დამაგრების მიზნით მათი მატერიალური სტიმულირება და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების გატარება.სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების საბინაო პირობებით უზრუნველყოფა.

17,461,500 ლარი

5,401,200 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 2 580 000 ლარით



დასაქმების ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

დასაქმება მოქალაქეების კეთილდღეობისა და განვითარების მთავარი წინაპირობაა. იმ პირობებში როცა რეგიონში არის უმუშევრობის სერიოზული პრობლემა, ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება სამუშაოს მაძიებელთა დასახმარებლად და მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. დასაქმების ხელშეწყობის ეფექტური პოლიტიკის შემუშავების მიზნით აუცილებელია შრომის ბაზრის სისტემატიური კვლევა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის სრულ ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ და გასცემს უამრავ მნიშვნელოვან კითხვას პასუხს თუ რა ახდენს გავლენას სამუშაო ძალაზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსზე და რა შეიძლება გაკეთდეს ამ დისბალანსის შესამცირებლად.

1,657,600 ლარი

421,000 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 45 000 ლარით

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სკოლის შემდგომი ფორმალური განათლების ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და რეგიონის საჭიროებებზე; განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის.

64,788,729 ლარი

შემცირებულია 810 000 ლარით

18,055,320 ლარი **2014 წელი**



- გაძლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება
- საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას
- განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება
- უწყვეტი განათლება
- განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა
- განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა
- სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა
- უმაღლესი განათლების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა-შენარჩუნება; აჭარის მუზეუმების და გალერეების მოდერნიზება და მართვის წესებისა და რეგულიაციების შემუშავება, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია, ეთნოგრაფიული სამეცნიერო საქმიანობის წახალისება; სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა და მისი შემდგომი პოპულარიზაცია; სასცენო და სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ხელოვნების და კულტურის სფეროში პროფესიული დონის ამაღლება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

57,946,651 ლარი

15,440,150 ლარი — 2014 წელი

შემცირებულია 1 630 000 ლარით



- ფოლკლორის ხელშეწყობა
- საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
- პროფესიულ-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა
- სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა
- მუზეუმებისა და გალერეების განვითარება
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია
- კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია
- აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა
- საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა

სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივი სპორტში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა; პროფესიული სპორტის მხარდაჭერა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება; სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება; სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

11,940,100 ლარი

3,104,300 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 775 000 ლარით



სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოება.

18,581,100 ლარი

5,826,200 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 5 000 ლარით



- ტესტირება-სერტიფიცირების მომსახურების მიწოდება და მართვა
- აგროსერვისის განვითარება რეგიონში
- ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა
- აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა, ტყეების მდგრადი მართვა, გეოლოგიური მონიტორინგი, სანაპირო ზოლის დაცვა, საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

28,468,920 ლარი

11,374,165 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 790 000 ლარით

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა სამელიორაციო სისტემების შექმნის გზით.

90,641,960 ლარი

18,056,810 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 2 445 000 ლარით



- საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა
- საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

აჭარის რეგიონში არსებული ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების გამოყენება რეგიონის ტურისტული პოტენციალის გასაძლიერებლად, ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად, რეგიონის ცნობადობის გასაზრდელად საერთაშორისო და შიდა ბაზარზე.

41,082,800 ლარი

10,420,700 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 2 227 000 ლარით



- ბათუმის ბულვარი
- რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია

საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების პრევენცია

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საფრთხეების პრევენციისა და მათი შედეგების დაძლევის ტექნოლოგიებისა და მეთოდების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლდება.

10,322,750 ლარი

2,464,250 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 600 000 ლარით



- სსიპ "მაშველთა გადამზადების ცენტრი"
- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეგულირება და პრევენცია

საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა. საარქივო ფონდის დიგიტალიზაცია.

6,776,000 ლარი

1,707,500 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია **93 000** ლარით



■ საარქივო ფონდის დაცვა შენახვა და გაუმჯობესება

რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი 2014-2017 წლები

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება და კოორდინაცია. ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა. რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. რეგიონის სივრცითი, კურორტებისა და სარეკრიაციო ადგილების დაგეგმარება. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

20,140,520 ლარი

5,248,880 ლარი — 2014 წელი

გაზრდილია 388 000 ლარით



- ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა
- რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა
- ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა
- სახაზინო მომსახურება
- დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა
- ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა
- საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა

პრიორიტეტი: რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა; მოსალოდნელი შედეგი

პროგრამა	2014 წლის ბიუჯეტი	მოსალოდნელი შედეგი	2014
			ინდიკატორი
რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	694000	ინვესტიციების ზრდა.	2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა	284,000		
რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	260,000		
კვლევები რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის	150,000		
ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	362100	ქობულეთისა და ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტი და 4 საკურორტო-სარეკრიაციო ადგილის განვითარების დეტალური გეგმა შემუშავებულია	ქობულეთის ა და ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის სივრცითმოწყობის დოკუმენტი 4 საკურორტო-სარეკრეაციო ადგილის განვითარების დეტალური გეგმა
საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების განვითარებისათვის დეტალური დაგეგმარება	100,000		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა	262,100		

მადლობა
ყურადღებისათვის